**ნომერშია: ფეხბურთელებთან კონტრაქტის გაფორმებისას დიდძალი ფულია მითვისებული ● რომარიო ეკლესიაში განიწმინდა და უკეთ თამაშობს... ● ანანიდი შეხვდება კასპაროვს — ამაში დიდია ელიზბარ უბილავას დამსახურება ● სენსაციური ცნობა ლუგანისის შესახებ. ● თურმე მილიონერი ლაზღანდარობითაც შეიძლება გახდე**


# ლელო

**8–14** აპრილი, 1995 წ. ● №12 (10923)

ფასი 600 რუბლი, ან 175 000 კუპონი.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## დავით ყიფიანი ისევ „დინამოშია"

ის კვლავ დაბრუნდა, დაბრუნდა მშობლიურ კლუბში, რომელთანაც მისი ცხოვრების ყველაზე სასახელო პერიოდია დაკავშირებული. დავით ყიფიანი და თბილისის „დინამო" ერთ კონტექსტში ბევრს ნიშნავს თითოეული ჩვენგანისათვის, დავითმა ერთნაირად შთამბეჭდავად დაგვამახსოვრა თავი როგორც ფეხბურთელმა და როგორც მწვრთნელმა. და აი, იგი კვლავ დინამოელთა თავკაცია. კვიპროსიდან დაბრუნებული დავით ყიფიანი უკვე შეუდგა უფროსი მწვრთნელის მოვალეობას.

## SOS

## შევაჩეროთ დასასრულის დასაწყისი

ქართულ კალათბურთში უმძიმესი სიტუაცია შეიქმნა. ჩვენში სპორტის ეს პოპულარული სახეობა ლამის ამბიციებისა და „ძველი სენის" — მსაჯების გაუთავებელი შეურაცხყოფის მსხვერპლი გახდეს. არადა, ყველაფერი აქეთ მიდის. საერთაშორისო კატეგორიის სამივე არბიტრმა მურმან ქურიძემ, გიორგი ავალიშვილმა და... ახლა როლანდ ხომერიკმა საკუთარი ღირსების შესანარჩუნებლად, ხელი აიღეს ეროვნული ჩემპიონატის მატჩების მსაჯობაზე. მდგომარეობას ამწვავებს ისიც, რომ მეტოქე გუნდის მოთამაშეები ხშირად იწვევენ დებოშს მოედანზე. თუ სასწრაფოდ არ გატარდა რადიკალური ღონისძიებები (მათ შორის, ორგანიზაციული), აღმავლობის გზაზე მყოფ ქართულ კალათბურთს ველარაფერი იხსნის, უკვე აშკარად იკვეთება დასასრულის დასაწყისი.

. მიმდინარე ჩემპიონატს ჩაშლის საფრთხე ემუქრება.

* * *

თბილისის სპორტის სასახლეში ექვსეულის მატჩები: „კაქტუსი" — „თარსი" 101:65, „დინამო" — „მერანი" 101:87, „ვითა" — „აზოტი" 96:79, „ვითა" — „მერანი" 97:48, „კაქტუსი" — „აზოტი" 88:65, „დინამო" — „თორსი" 100:61, „დინამო" — „აზოტი" 89:54, „მერანი" — „თორსი" 66:52, „კაქტუსი" — „ვითა" 90:84, „აზოტი" — „თორსი" 68:63, „კაქტუსი" — „მერანი" 94:82, „დინამო" — „ვითა" 97:93, „მერანი" — „აზოტი" 72:76.

## „ლელოს" არქივიდან



**კახი ასათიანი** თბილისის „დინამოს" ხანგრძლივ, მდიდარ, ლამის არის საუკუნოვან ისტორიაში ბევრს ვერ შეხვდები ისეთი ჩინებული ფიზიკური მონაცემების მქონე ფეხბურთელს, როგორიც კახი ასათიანი გახლდათ: ტანმოსული, ახოვანი, ბრგე ათლეტი სრულად იყენებდა ამ თვისებებს, თამაშობდა ვრცელ დიაპაზონზე, მინდვრის კიდიდან — კიდემდე, თამაშობდა გაბედულად, თამამად. მისი ამპლუა ნახევარმცველი იყო, მაგრამ იგი არ ისაზღვრებოდა მხოლოდ პავბეკის შეზღუდული ფუნქციებით, აქტიურად მონაწილეობდა საიერიშო ოპერაციებში, მეტოქის კარის შეტევებში და სისტემატურად გაჰქონდა გოლები, ამასთან, პირველხარისხოვან ინდივიდუალურ ტექნიკას ფლობდა: მისი სპეციფიკური დრიბლინგი, ბურთის მიღება, ზუსტი გადაცემები, კარში დარტყმები, თვით თამაში სანაქებო რამ იყო.

ფეხბურთს კახი ასათიანი ბავშვობიდან ეზიარა, სწავლობდა თბილისის განთქმულ 35-ე საფეხბურთო სკოლაში, შემდეგ გადავიდა „ნორჩ დინამოელში" მწვრთნელ ო. უშვერიძესთან, აქ ჩამოყალიბდა მაღალი კლასის ოსტატად, 1966 წელს შედგა მისი დებიუტი თბილისის „დინამოში", სადაც ღირსეულად დაიმკვიდრა წამყვანი პოზიციები, წლების და წლების მანძილზე იყო გუნდის ერთ-ერთი ძირითადი, წარმმართველი ძალა. მან მონაწილეობა მიიღო საკავშირო ჩემპიონატის 217, თასის 25 და სხვადასხვა რანგის 42 საერთაშორისო შეხვედრაში, გაიტანა 37 გოლი, რაც ნახევარმცველისთვის ფრიად მაღალი მაჩვენებელია.

მშობლიური კლუბის შემადგენლობაში ოთხჯერ (1967, 1969, 1971 და 1972 წლები) დაეუფლა ბრინჯაოს მედალს, სამჯერ შედიოდა 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში, ამასთან, 1969 წელს —, პირველ ნომრად.

ხუთი სეზონის განმავლობაში (1968-1972 წ.წ.) გამოდიოდა სსრ კავშირის პირველი ნაკრების შემადგენლობაში, მონაწილეობდა 1970 წლის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, 1987 წელს იყო თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი.

ერთი სიტყვით, კახი ასათიანი თბილისის „დინამოს" ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, მისი წამყვანი წევრი გახლდათ.

ახლა ორიოდე სიტყვა მისი გვარის შესახებ. ბევრს მიაჩნია, რომ „ასათიანი" სიტყვა „ას ათიდან" გამომდინარეობს. მაგრამ ეს ასე არაა. „ასათ" არაბულად ლომს ნიშნავს და ეს სიტყვა ასათიანთა გვარს შემორჩა.

## ევროპის 2 000 წლის ჩემპიონატი — სად?

ამ დღეებში მოსკოვში გაიმართა ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის აღმასკომის სხდომა. სამსჯელოდ გამოიტანეს საკითხი, თუ სად უნდა მოეწყოს ევროპის 2000 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური სტადია.

აღმასკომის ყველა წევრმა ხმა მისცა წინადადებას, რომ ეს გათამაშება გაიმართოს ერთობლივად ბელგიასა და ჰოლანდიაში, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ შემდგომ სხდომაზე 23 მაისს, მას შემდეგ, რაც ეს ორი ქვეყანა უეფას წარუდგენს სათანადო საბუთებს.

აქვე მიიღეს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ გაისიდან უეფას თასის გამარჯვებული გამოვლინდეს ერთი ფინალური მატჩის მიხედვით და არა ორი შეხვედრის შედეგად, როგორც ეს აქამდე იყო.



— ჩვენი პირველი ნაკრების ძირითადი ბირთვი გამოკვეთილი იყო, ამ შეჯიბრებას კი უნდა გადაეწყვიტა ვინ დაიცავდა ქვეყნის ღირსებას ევროპის წლევანდელ ჩემპიონატზე (**11-14** მაისი, ინგლისი ) **71** კგ წონით კატეგორიაში, — გვითხრა საქართველოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ბიძინა მაზიაშვილმა— კანდიდატი ბევრი გვყავდა, ამიტომ გადავწყვიტეთ ინგლისში გამარჯვებული წაგვეყვანა. აპრილის პირველი რიცხვებიდან ნაკრები დაიწყებს შეკრებას, ხოლო **16** აპრილიდან გავემგზავრებით კიევში, სადაც უკრაინის ნაკრებთან ერთად მოვემზადებით კონტინენტის ჩემპიონატისთვის. ოლიმპიური ნაკრები კი გერმანიაში იმყოფებოდა შეკრებაზე მასპინძელთა მიწვევითა და ხარჯებით.

თქმა არ უნდა, საქართველოს ჩემპიონატი გაცილებით მიმზიდველი იქნებოდა, ყველა ჩვენი წამყვანი ძიუდოისტი რომ გამოსულიყო ტატამზე, მაგრამ მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით, უძლიერესებს დასვენების საშუალება მისცეს.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: **50** კგ. ზ. ბეჟანიშვილი (მარნეული). **65.** ქ. თედიაშვილი (საგარეჯო), **71.** მ. კურდღელაშვილი (საგარეჯო), **78.** გ. წმინდაშვილი (ახმეტა), **86.** მ. ჯანაშვილი (კასპი), **95.** ი. ჯიქურაული (დუშეთი), მძიმე. ა. დავითაშვილი (ახმეტა).

გაიმართა უეფას თასის ნახევარფინალური შეხვედრები.

იტალიის „იუვენტუსის" ფეხბურთელებმა გერმანიის „ბორუსიასთან" ფრედ ითამაშა — **2-2** (მატჩი შედგა მილანში). მეორე ნახევარფინალურ წყვილში იტალიის „პარმამ" დაამარცხა გერმანიის „ბაიერი" (ლევერკუზენი) **2-1.**

ჩემპიონთა თასი: „სენჟერმენ" (პარიზი) — „მილანი" (მილანი) **0-1,** „აიაქსი" (ამსტერდამი) — „ბაიერნი" (მიუნხენი) **0-0.**

# რატომ წავიდა ოლიმპიური ჩემპიონი კ. კახიაშვილი საზღვარგარეთ?

## ანუ სინამდვილე კ. კახიაშვილის საქართველოდან წასვლის შესახებ

უკანასკნელ წლებში ბევრმა გამოჩენილმა სპორტსმენმა დატოვა საქართველო, მაგრამ არც ერთ მათგანს ისეთი აჟიოტაჟი და მითქმა-მოთქმა არ გამოუწვევია, როგორც კ. კახიაშვილის წასვლამ გამოიწვია. კაცმა რომ თქვას, გასაკვირი არაფერია, კახი კახიაშვილი, რომლის სახელთან უშუალოდ დაკავშირებულია ოთხმოცდაათიან წლებში ქართული ძალოსნობის წარმატებები, იმდენად კოლორიტული ფიგურაა ქართულ სპორტში, რომ საქართველოდან მის წასვლას არ შეიძლებოდა გულგრილი დაეტოვებინა ქართული სპორტის გულშემატკივრები და საერთოდ ქართველი საზოგადოებრიობა, მით უფრო, რომ კ. კახიაშვილი წარმოადგენდა ატლანტის XXVI ოლიმპიური თამაშების მონაწილის ყველაზე უფრო რეალურ კანდიდატურას საქართველოდან. ინფორმაციის ყველა საშუალება გამოეხმაურა ამ ფაქტს, თანაც ეს გამოხმაურება, უფრო ნეგატიური იყო. კიცხავდნენ, საყვედურობდნენ, რაც ისედაც განაწყენებულ სპორტის გულშემატკივრებს კიდევ უფრო უძლიერებდა უკმაყოფილობის გრძნობას. დაუმსახურებელი ეპითეტებითაც შეამკეს: „საქართველოდან გაქცეული", „საქართველოს სახელი სხვა ქვეყნის სამოთხეზე გაცვალა" „უღალატა საქართველოს" და კიდევ სხვა მრავალი. არც ერთი მათგანი არ დაინტერესდა ანდა ღრმად არ ჩაწვდა, თუ რამ განაპირობა ამ დიდებული ადამიანის, სულით ხორცამდე ქართველის გადაწყვეტილება წასულიყო სხვა ქვეყანაში და იქ განეგრძო თავისი სპორტული მოღვაწეობა. რამდენადაც კ. კახიაშვილის საქართველოდან წასვლის საკითხში ძალოსნობის ფედერაციასაც სდებენ ბრალს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება და დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ძალოსნობის ფედერაცია, მისი პრეზიდენტი, წევრები და აქტივი ამ ფაქტისადმი გულგრილი არ დარჩენილან და არც შეიძლება ასეთი დიდი სპორტსმენის, ქართული ძალოსნობის ფლაგმანის საქართველოდან წასვლით არ შეწუხებულიყვნენ. მაგრამ ფედერაციას ამ შემთხვევაში არაფრის გაკეთება შეეძლო. საქმე იმაშია, რომ ფედერაციის პრეროგატივა არაა განუსაზღვროს სპორსტმენებს, თუ სად, რომელ ქვეყანაში იცხოვროს. ამ საკითხზე ფედერაციისათვის არც კ. კახიაშვილს მიუმართავს, წასვლა მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა და საბერძნეთში მიმავალი თვითმფრინავის ბილეთი ჯიბეში ედო. მან ფედერაციას მიმართა თხოვნით მხოლოდ იმაზე, რომ მისი საბერძნეთში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოს ფედერაციას დაერთო ნება მსოფლიოს 1994 წლის ჩემპინატში და ევროპის 1995 წლის პირველობაში გამოსულიყო საბერძნეთის სახელმწიფოს სახელით. ფედერაციამ საკმაოდ დეტალურად და მწვავედ იმსჯელა ამ საკითხზე, გაითვალისწინა კ. კახიაშვილის უდიდესი დამსახურება ქართული სპორტის წინაშე, განსაკუთრებით ქართული ძალოსნობის განვითარების საკითხში და მიიღო გადაწყვეტილება — დაეკმაყოფილებინა კ. კახიაშვილის თხოვნა.

ასეთია, როგორც იტყვიან, მედლის ერთი მხარე, საკითხის რეალური მდგომარეობა, მაგრამ მედალს აქვს მეორე მხარეც, ამ შემთხვევაში, უფრო მნიშვნელოვანი, რომელმაც ფაქტობრივად განაპირობა კ. კახიაშვილის მიერ ოპონენტების შეხედულებით, არაორდინარული გადაწყვეტილების მიღება. სწორედ ამ მეორე მხარეზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება.

დავიწყოთ იმით, რომ კ. კახიაშვილი ქართულ ძალოსნობაში უნიკალური მოვლენაა. გარდა იმისა, რომ ბუნებით ფიზიკური მონაცემებით უხვადაა დაჯილდოებული, იგი ამასთანავე საოცრად მოწესრიგებული, აღზრდილი, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობის, კეთილშობილი, დისციპლინიანი და დასახული მიზნის მიღწევისათვის თავდადებული პიროვნებაა. ლიტონი სიტყვები რომ არ გამოგვივიდეს, აღნიშნულის ნათელსაყოფად მოვიყვანთ მაგალითებს კახიაშვილის მოღვაწეობიდან.

90-იან წლებში საქართველოში მომხდარ ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით სპორტში მეცადინეობისათვის პირობები მკვეთრად გაუარესდა. კარზე იყო მომდგარი ბარსელონის XXV ოლიმპიური თამაშები, მაგრამ აქ ჩვენთან მზადებისათვის ელემენტარული პირობებიც არ არსებობდა. კახიაშვილს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ამ ოლიმპიადაში არამარტო მონაწილეობა, არამედ, ოლიმპიური ჩემპიონის წოდების მოპოვება. ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრები ყოველდღიურად ვხედავდით კახის თავდადებას, როგორი მონდომებით ვარჯიშობდა იგი ცივ დარბაზში მაშინაც კი, როცა დარბაზში ვერავინ ვერ ბედავდა მეცადინეობას.

იგი ზოგჯერ მწვრთნელის გარეშეც კი მარტოდმარტო ვარჯიშობდა. იმდენად დიდი იყო სურვილი ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისა, რომ კახი იძულებული გახდა მის მწვრთნელთან ერთად რუსეთში წასულიყო მოსამზადებლად, იმ პირობით თუ იგი

იხ. მე-2 გვ.

# რატომ წავიდა ოლიმპიური ჩემპიონი კ. კახიაშვილი საზღვარგარეთ?

## ანუ სინამდვილე კ. კახიაშვილის საქართველოდან წასვლის შესახებ

(დასაწყისი 1-ლ გვერდზე)

რუსეთის გუნდის შემადგენლობაში იასპარეზებდა. კახიაშვილი იქ მართლაც კარგად მოემზადა და შედეგმაც არ დააყოვნა. ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებში კახის გამარჯვების საპატივცემულოდ, რუსეთის კი არა საქართველოს დროშა აღიმართა.

დამთავრდა 1992 წლის ოლიმპიური თამაშები. კახი მისთვის ჩვეული თავდადებით აგრძელებდა წვრთნას და მზადებას შეჯიბრებისათვის, მაგრამ ჩვენთან კვლავინდებურად წვრთნისათვის საჭირო პირობები არ იყო. 2 წელიწადზე მეტ ხანს ელოდა კახიაშვილი წვრთნისა და ცხოვრებისათვის მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაგრამ ამაოდ. ვარჯიში ისევ არანორმალურ პირობებში უხდებოდა. ფედერაციის ხელმძღვანელობის მიერ საკითხის ზემდგომ ორგანოებში არაერთგზის დასმის მიუხედავად, მცდელობას პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. ასეთ პირობებში კი წვრთნა უნაყოფო იყო. იმატა ტრავმებმა. სწორედ ტრავმებითა და არასრულფასოვანი მზადებით უნდა აიხსნას მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში კახის წარუმატებელი გამოსვლები. ამ შეჯიბრებებში მან მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა, რაც კახისათვის წარუმატებლობას ნიშნავდა. 1992 წლის შემდეგ კახიაშვილმა ვერც ერთხელ ვერ შეძლო ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე ნაჩვენები შედეგების არა თუ გაუმჯობესება, განმეორებაც კი. დრო გადიოდა. მის სპორტულ საქმიანობაში მდგომარეობის ასე არასასურველ შემობრუნებას იგი მტკივნეულად განიცდიდა. კახიაშვილი ნამდვილი პროფესიონალი სპორტსმენია, რომელსაც კარგად ესმის სპორტში, თანაც ისეთ სპორტში, როგორიც ძალოსნობაა, ასაკისა და დროის ფაქტორის მნიშვნელობა, რომლის გამოუყენებლობა დაღუპვის ტოლფასია.

ამას დაემატა ის ერთგვარი უყურადღებობაც, რომელიც მის მიმართ გამოიჩინეს.

1992 წელს მაშინდელმა ხელისუფლებამ კახიაშვილს რატომღაც სხვა პირების მიერ უკანონოდ დაკავებული ოროთახიანი ბინა მისცა, მაგრამ ორ წელზე მეტი ამაოდ ელოდა ამ ბინაში შესახლებას. მართალია, სეოკის მცდელობით მას ოროთახიანი 25 კვ მ ფართობის ბინა შეუძინეს, მაგრამ მომავალი ცხოვრებისათვის მოუხერხებელი იყო. არც ეკონომიკური მდგომარეობა ჰქონდა სახარბიელო. არასწორია გამოქვეყნებული მონაცემები იმის შესახებ, რომ თითქოს კახის ყოველთვიური შემოსავალი ჩვენთან 700 დოლარს უდრიდა.

სინამდვილეში 1992 წლის შემდეგ კ. კახიაშვილს სულ მიღებული აქვს 1500 დოლარი. გაუგებარია, რა საჭირო იყო ასეთი მცდარი მონაცემების გამოქვეყნება? კახი საერთოდ სიტყვაძუნწი ახალგაზრდაა. მისგან იშვიათად თუ გაიგონებ ვინმეს მიმართ საყვედურს, მაგრამ ბოლო ხანებში ჩვენთან საუბარში გულისტკივილით არაერთხელ აღუნიშნავს: „მე ახლა მოქმედ სპორტსმენს არ მაქცევენ ყურადღებას და სპორტს რომ ჩამოვშორდები, ვისღა ვენდომებიო". სამწუხაროდ, ჩვენი გამოჩენილი სპორტსმენების ცხოვრებიდან ასეთი მაგალითები არაერთი და ორია.

როგორც აღინიშნული იყო, კახის დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული სპორტის წინაშე. მას საერთაშორისო ასპარეზობებში დღემდე მოპოვებული აქვს 37 ოქროს, 18 ვერცხლის და 12 ბრინჯაოს მედალი. იგი არის ოლიმპიური ჩემპიონი. ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, მსოფლიოს ორგზის მეორე პრიზიორი, მსოფლიოს თასის მფლობელი, მსოფლიოს თასის მეორე პრიზიორი. მსოფლიო რეკორდსმენი და მრავალი სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებული. იგი არის 1992 წლის მსოფლიოს საუკეთესო ძალოსნის ტიტულის მფლობელი. მსგავსი აღიარება ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთ ძალოსანს არ ჰქონია. კ. კახიაშვილის ყველა სპორტული მიღწევა რომ გვერდზე გადავდოთ, მის სადიდებლად მარტო ერთი — ბარსელონას ოლიმპიურ ფიცარნაგზე ჭეშმარიტად გმირული გამოსვლაც კმარა, რომლითაც მან ოლიმპიური თამაშებისა და ძალოსნობის მსოფლიო ისტორიაში ქართველი სპორტსმენის სახელი უკვდავყო. კახი სპორტული შემოქმედების გაფურჩქვნის პერიოდშია, იგი 25 წლისაა. მას წინ ბევრი გეგმები აქვს დასახული. 1994 წელს თბილისში სტუმრობისას სოკ-ის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს მან სიტყვა მისცა, რომ ატლანტის XXVI ოლიმპიურ თამაშებში მისი ხელიდან მიიღებდა ჩემპიონის ოქროს მედალს. კახის მტკიცე ხასიათი, სწრაფვა და მონდომება რომ ვიცით, გვჯერა, იგი თავის სიტყვას შეასრულებს. მაგრამ ამ მიზნების განხორციელებისათვის მარტო ღმერთისგან მომადლებული პირადი თვისებები როდი კმარა, საჭიროა სათანადო პირობები, რომელიც, აქ ჩვენთან, საქართველოში არ გაგვაჩნია. დაინტერესებულ პირებს ყოველთვის შეუძლიათ უშუალოდ დარწმუნდნენ, თუ როგორ, წვრთნისათვის სრულიად მიუღებელ პირობებში უხდებათ მზადება საქართველოს ძალოსანთა ნაკრები გუნდის წევრებს, ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებისათვის.

კახის ბევრი სახელმწიფოდან ჰქონდა მაცდუნებელი მიწვევები: ავსტრალიიდან, არგენტინიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან... მაგრამ იგი უკანასკნელ დრომდე თავს იკავებდა. როგორც ჩანს, კ. კახიაშვილმა საკმაოდ ღრმად გააანალიზა საქართველოში არსებული მდგომარეობა, რომ აქ დღეისათვის სპორტული პროგრესისათვის პერსპექტივა მას არა აქვს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომელიც მისი საქართველოდან საბერძნეთში წასვლაში გამოიხატა. ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ შეიძლებოდა ძალოსნობის ფედერაციას უარი ეთქვა კ. კახიაშვილისათვის თხოვნაზე მსოფლიო ჩემპიონატში საბერძნეთის სახელით გამოსვლაზე? რა თქმა უნდა, არა. ფედერაციის მხრივ ეს იქნებოდა უმადურობა, არასწორი ქმედება, მისი დასჯა სიკეთის სანაცვლოდ. დავუშვათ ფედერაციას უარი ეთქვა კახის თხოვნაზე, ანდა კიდევ, როგორც სეოკ-ის ხელმძღვანელობა აცხადებს, „კახის ალბათ ვერავინ იხილავს ატლანტის ოლიმპიადაზე", რა სარგებლობას მოუტანდა საქართველოს კ. კახიაშვილის მიმართ ასეთი აქციის გატარება? ალბათ, არაფერს. ჩვენი აზრით, ასეთ ქმედებას გამართლება არა აქვს. ღვარძლსა და შურს არასდროს სიკეთე არ მოუტანია და არც მოიტანს. კ. კახიაშვილი ქართული სპორტის აღზრდილია, იგი არის და ყოველთვის დარჩება დიდ ქართველ სპორტსმენად. კ. კახიაშვილი რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იყოს, ყველგან ქართულ საქმეს გააკეთებს, ამაში მას ხელი არ უნდა შევუშალოთ.

არ შეიძლება აქ არ ითქვას ძალოსნობის ფედერაციის მიმართ გამოთქმული იმ უმართებულო საყვედურის შესახებაც, რომლის მიხედვით თითქოს ჩვენ „პროფესიონალი სპორტსმენი გავაჩუქეთ". უმართებულოა ჯერ ერთი იმიტომ, რომ საბერძნეთის ძალოსნობის ფედერაციას საქართველოს ძალოსნობის ფედერაციისათვის არ მიუმართავს თხოვნით „მიგვეყიდა" მათთვის კ. კახიაშვილი. ასეთი მიმართვა მათ არ სჭირდებოდათ, რადგან კახიმ თავად გადაწყვიტა გამხდარიყო საბერძნეთის მოქალაქე და ამდენად მათთვის ამის აუცილებლობა არ არსებობდა. მეორე — კ. კახიაშვილი საბერძნეთში მთლად უსარგებლოდ არ წასულა. ამ მოკლე დროში კახიმ შეძლო გარკვეული დახმარება გაეწია საქართველოს ნაკრები გუნდის წევრებისათვის. მათთვის იქიდან გამოგზავნა 2000 დოლარის ვიტამინები. საბერძნეთის ფედერაცია, რა თქმა უნდა, კახიაშვილის მცდელობით, კისრულობს საქართველოს ძალოსნებისათვის შეკრებების მოწყობას საბერძნეთში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებისათვის მოსამზადებლად.

ასეთია კახი კახიაშვილის საქართველოდან წასვლის ობიექტური რეალობა. სამწუხაროდ, იგი პოსტფაქტუმია და ჩვენ, ქართველ ძალოსნებს და საერთოდ კახიაშვილის გულშემატკივრებს ისღა დაგვრჩენია, წარმატებები ვუსურვოთ მას სპორტში და პირად ცხოვრებაში.

მართალია, საქართველოში დღეს მეტად რთული ვითარებაა ცხოვრებისათვის, მათ შორის სპორტისათვისაც ელემენტარული პირობები არაა, უჭირს ქვეყანას, მაგრამ მეტი მონდომების შემთხვევაში, მაინც შეიძლებოდა კ. კახიაშვილის საკითხი არ წამოჭრილიყო. ძალოსნობა საქართველოში კახიაშვილით არ დაწყებულა და არც დამთავრებულა, ღმერთმა ნუ ქნას, რომ დამთავრდეს. დღის წესრიგშია კახიაშვილების და სხვა წამყვან ძალოსნების ღირსეული ცვლის მომზადება, ტრადიციების შენარჩუნება და შემდგომი განვითარება. და კიდევ, ჩვენ ალბათ მეტი უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ჩვენთან აღზრდილმა სპორტსმენებმა „სხვა ქვეყნის კარებზე არ აკაკუნონ"

შოთა ბუაძე
ძალოსნობის ფედერაციის
გენერალური მდივანი.

## კომენტარი

ეს წერილი რედაქციაში ავტორმა პირადად მოიტანა. ბატონ შოთას რამდენიმე დასაზუსტებელ საკითხზე მოკრძალებით მივანიშნეთ, მაგრამ წერილი თითქმის უცვლელად დაგვიბრუნდა ერთი კვირის თავზე. ზოგიერთი პოზიციის დაზუსტება თავად მოგვიხდა ხელმძღვანელ სპორტულ ორგანიზაციებში, და ეს კომენტარიც ამის შემდეგ დაიწერა.

წვრილმანებზე არ შევჩერდებით. ერთი მთავარი საკითხთაგანი გახლავთ კ.კახიაშვილის საბერძნეთში გადასვლის მოტივი. მოტივი კი მხოლოდ საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში გადასვლა არ ყოფილა, როგორც ამას ავტორი წერს. სამშობლოდან მიდიოდა სპორტსმენი და გაუგებარია, რატომ არ უნდა ჩარეულიყო ფედერაცია, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება? თურმე კახიაშვილს ბილეთი ჯიბეში ჰქონდა, როცა ჩვენს ფედერაციას მიმართა „დაერთო ნება მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატში და ევროპის 1995 წლის პირველობაში გამოსულიყო საბერძნეთის სახელით". ხედავთ, რა უბრალოდ ყოფილა საქმე? სერიოზულ საკითხებზე ასე მარტივი მსჯელობა, ცოტა არ იყოს, შეურაცხმყოფელია. ანდა, ვინ ედავება ჩვენს ფედერაციას, კახიაშვილს საბერძნეთში საცხოვრებლად გადასვლა რატომ არ დაუშალეთო, არავინ! ეს, ისე, თავად გამოიგონეს. სადავო აქ სხვა რამ არის. ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ მხოლოდ მოქალაქეობის შეცვლით არ წყდება დიდი სპორტსმენის უცხოეთში გადასვლის საკითხი. კახიაშვილს, ცხადია, ფედერაციის ხელშეწყობით შეეძლო უცხოეთის რომელიმე კლუბთან გაეფორმებინა კონტრაქტი და დარჩენილიყო საქართველოს მოქალაქედ, მაგრამ ფსეთ გარიგებაზე სიტყვა არავის დაუძრავს. გვესმის, კარგად გვესმის, რომ ჩვენში სპორტსმენებისთვის მძიმე პირობებია, მაგრამ ხომ შესთავაზეს კახიაშვილს გერმანიაში ან რუსეთში გამოეზამთრებინა და ევარჯიშა, გადაწყვეტილი იყო სოლიდური ოლიმპიური სტიპენდიის დანიშვნის საკითხიც, რაც ამ სპორტსმენმა ჩინებულად იცოდა. გვახსოვს, კახიაშვილი სხვებს მოუწოდებდა, მართალია, საქართველოში არ გვაქვს წვრთნის ნორმალური პირობები, მაგრამ გავუძლოთო.

ბინის შესახებ. სეოკის და სპონსორის დახმარებით კახის თანხა გამოეყო. ბინა თავად შეარჩია, ნაწილი ფული რემონტისთვის დაიტოვა, სპორტის დეპარტამენტმაც ის მეორე ბინაც გამოუთავისუფლა. ავტორი „დაუკრეფავში გადადის", როცა აცხადებს: „ღვარძლსა და შურს არასდროს სიკეთე არ მოუტანია და არც მოიტანსო". როგორ, ბატონო შოთა, თქვენ ფიქრობთ, რომ სეოკის პოზიცია ღვარძლი და შურია? თუ ვინმეს შესტკივა გული კახიაშვილის უცხოეთში წასვლის გამო, მათ სიყვარული და პატრიოტული გრძნობა ალაპარაკებთ მხოლოდ და არა ღვარძლი და შური.

## ხუთი შეკითხვა სპორტულ ფედერაციებს

1. როგორია თქვენი მონაგარი 1994 წელს?
2. რა გიშლიდათ ხელს შარშან უკეთესი შედეგების მიღწევაში?
3. როგორ ფიქრობთ, ხელშემშლელი მიზეზები დაიძლევა თუ გაღრმავდება 1995 წელს?
4. რა საშიშროება ემუქრება თქვენს სპორტის სახეობას და რა იხსნის მას?
5. როგორ იყენებთ პრაქტიკულ საქმიანობაში სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 28 ივლისის ბრძანებულებას „სპორტის სფეროში გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ?"

შეკითხვებს უპასუხებს ქართული ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **იური იმერლიშვილი.**

1. შარშანდელი წლის ყველაზე დიდ წარმატებად მიმაჩნია ის, რომ ფედერაციამ, ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური სიდუხჭირის მიუხედავად, შეძლო, მაისიდან გვიან შემოდგომამდე, ქალაქების, რაიონებისა და სოფლების ღია საჭიდაო მოედნებზე, შაბათ-კვირას შეჯიბრება-ზეიმების ჩატარება ქართულ ჭიდაობაში. ასპარეზობები იმართებოდა კასპის, გორის, ხაშურის, ქარელის, დედოფლისწყაროს, დუშეთის, მცხეთის, საგარეჯოს, ქუთაისის, ზუგდიდისა და ონის რაიონების ნახერხმოყრილ საჭიდაო მოედნებზე. დაბრუნდა რწმენა, რომ ქართველ მოჭიდავეთა მდიდარი ტრადიციები არ ჩაკვდება.

შარშანვე დავაფუძნეთ ქართული ჭიდაობის აღორძინებისა და განვითარების საერთაშორისო ფონდი, რაც უთუოდ წინ გადადგმული ნაბიჯია.

თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დავხვეწეთ, ცვლილებები შევიტანეთ და გამოსაცემად მოვამზადეთ ქართული ჭიდაობის შეჯიბრების წესები.

2. ძალზე ჭირს რესპუბლიკური ღონისძიებების ჩატარება. ქალაქების, რაიონების სპორტკომიტეტებს არ გააჩნიათ სახსრები.

ხელს გვიშლის ის გარემოებაც, რომ რესპუბლიკაში და, კერძოდ, თბილისში არ გაგვაჩნია ქართული ჭიდაობის სპეციალური დარბაზი. არადა, ქართული ჭიდაობა ამას იმსახურებს. იქ მოეწყობოდა ქართველ ფალავანთა მიღწევების ამსახველი მუზეუმი, შეხვედრები მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებთან, სპორტის ვეტერანებთან და სხვ.

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო საქართველოს აბსოლუტურ ფალავნობაზე საასპარეზოდ არ ჩამოვიდნენ უცხოელი სპორტსმენები. კერძოდ, ირანიდან და თურქეთიდან, სადაც მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორაა. თავად გაზლდით ირანში, სადაც შევხვდი ფერეიდანის გუბერნატორს ბ-ნ ფაზლულა დეხ ხოდაის და სპორტის თავკაცს ბ-ნ ბაღერა სუპატაშვილს, რომლებმაც სიამოვნებით მიიღეს ჩვენი მოწვევა.

3. ხელშემშლელი მიზეზები დაიძლევა. მახსოვს, შარშან ერთ-ერთ სპორტულ ღონისძიებაზე უსახსრობის გამო საასპარეზოდ ვერ ჩამოვიდნენ რაიონებისა და ქალაქების ნაკრების გუნდები. ფედერაციის მუშაკებმა სასწრაფოდ მივაშურეთ რეგიონებს და პირადი კონტაქტებით მივაღწიეთ, რომ შეჯიბრება არ ჩაშლილიყო.

4. სანამ იქნება ქართული ენა, დამწერლობა, მუსიკა, თეატრი, ფოლკლორი, იქნება ქართული ჭიდაობაც. როგორც ქართული ჭიდაობის დიდი მოტრფიალე, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი ამბობდა ქართულ ჭიდაობას „მშობელ მიწაში უდგას ფესვები".

5. სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების მიღებიდან ერთი თვის შემდეგ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის ბ-ნ მურთაზ მნათობიშვილის უშუალო დახმარებით საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ბ-ნ ი.მენაღარიშვილის ხელმოწერით წერილები დაეგზავნა ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელთ, სადაც აღნიშნულია, რომ მერებმა და გამგებლებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ბრძანებულების შესრულებისა და სპორტის ეროვნული სახეობების აღდგენა-განვითარებისათვის. შესაძლებლობის ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოუყონ დამატებითი სახსრები საჭიდაო სექციების მოსაწყობად და შექმნან მეცადინეობა-შეჯიბრებების ჩატარების ელემენტარული პირობები.

## ვინ დარჩა ველოსპორტის ერთგული ჩვენში?

ფედერაციის პრიზზე ამ დღეებში თბილისსა და მის შემოგარენში გამართული ასპარეზობით თუ ვიმსჯელებთ, დედაქალაქში „შევარდენს", „მართვეს" და კიდევ ქუთაისელებს არ განელებიათ ველოსპორტის სიყვარული.

2500 მეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში (დროზე), რომელიც კუს ტბაზე ჩატარდა, უძლიერესი იყო ქუთაისის „მართვეს" წარმომადგენელი დავით შავგულიძე (6.15,49 წამი). მას კვალდაკვალ მიჰყვნენ თბილისელები — რომან ცხოვრებაძე („მართვე", 7.32,31) და გიორგი ქარელიძე („შევარდენი", 7.51,37). 50 კილომეტრიანი ჯგუფური რბოლა მოიგო. მასპინძელმა კობა აბაიშვილმა („შევარდენი"). მომდევნო ადგილებზე არიან რომან ცხოვრებაძე და ქუთაისელი ვაჟა როგავა. („მართვე"). 70 კმ-ზე რბოლაში კი პრიზიორები ასე განლაგდნენ: 1. რ. ცხოვრებაძე, 2. გ. ქარელიძე, 3. ნუგზარ ტარტარაშვილი (თბილისის „შევარდენი").

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## პირველი ჯგუფი

## XVIII-XIX ტურები

„დურუჯი“ (ყვარელი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 0-1
„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 4-2
„კახეთი“ (თელავი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 2-5
„სამგურალი“ (წყალტუბო) — „დინამო„ (ბათუმი) 1-1
„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „შევარდენი-1906“ თბილისი) 3-2
„დინამო“ (ზუგდიდი) — „გურია„ (ლანჩხუთი) 1-0
„მეტალურგი“ (რუსთავი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 1-1
„იმერია“ (ხაშური) — „დილა“ (გორი) 0-1.

„ივერია“ (ხაშური) — „დურუჯი“ (ყვარელი) 5-0
„დილა“ (გორი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0-1
„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1-0
„გურია (ლანჩხუთი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2-1
„დინამო“ (ბათუმი) — „კახეთი“ (თელავი) 0-0
„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1-0
„სამტრედია“ (სამტრედია) — „დინამო“ (თბილისი) 1-0
„ტორპედო“ (ქუთაისი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 0-0
28 მარტს, გამოტოვებულ მატჩში, „სამტრედიამ“ დაამარცხა „სამგურალი“ 5-0.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 აპრილისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამტრედია“ (სამტრედია) | 19 | 17 | 1 | 1 | 56-14 | 52 |
| „დინამო“ (თბილისი) | 18 | 14 | 2 | 3 | 74-21 | 44 |
| „კოლხეთი-1913“ (ფოთი) | 18 | 13 | 2 | 3 | 39-14 | 41 |
| „დინამო“(ბათუმი) | 19 | 11 | 4 | 4 | 47-24 | 37 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 19 | 8 | 6 | 5 | 27-21 | 30 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 19 | 9 | 2 | 8 | 31-28 | 29 |
| „დილა“ (გორი) | 19 | 8 | 4 | 7 | 15-17 | 28 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 19 | 7 | 5 | 7 | 31-43 | 26 |
| ივერია (ხაშური) | 19 | 7 | 2 | 10 | 29-28 | 23 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 19 | 6 | 3 | 10 | 31-36 | 21 |
| „შევარდენი-1906“ (თბილისი) | 19 | 5 | 5 | 9 | 20-24 | 20 |
| „მარგვეთი“ (ზესტაფონი) | 19 | 5 | 4 | 10 | 14-38 | 19 |
| „კახეთი“ (თელავი) | 19 | 4 | 7 | 8 | 24-35 | 19 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 19 | 5 | 1 | 13 | 19-49 | 16 |
| „საპოვნელა“ (თერჯოლა) | 19 | 4 | 2 | 13 | 22-51 | 14 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 19 | 1 | 4 | 14 | 13-49 | 7 |

# ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში
## 1995 წლის საგაზაფხულო ციკლი

EURO 96 England

გაიმართა ევროპის მეათე საფეხბურთო ჩემპიონატის საგაზაფხულო ციკლის შესარჩევი შეხვედრები.

### I ჯგუფი

რუმინეთი — პოლონეთი 2:1
ისრაელი — საფრანგეთი 0:0
სლოვაკეთი — აზერბაიჯანი 4:1

გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-4 | 11 |
| ისრაელი | 5 | 2 | 3 | 0 | 7-4 | 9 |
| საფრანგეთი | 5 | 1 | 4 | 0 | 2-0 | 7 |
| სლოვაკეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 8-6 | 5 |
| პოლონეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| აზერბაიჯანი | 5 | 0 | 0 | 5 | 1-12 | 0 |

### II ჯგუფი

ესპანეთი — ბელგია 1:1
კვიპროსი — დანია 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 12-3 | 13 |
| მაკედონია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 5 |
| დანია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-6 | 5 |
| კვიპროსი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| ბელგია | 5 | 1 | 2 | 2 | 6-9 | 5 |
| სომხეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |

### III ჯგუფი

თურქეთი — შვეცია 2:1
უნგრეთი — შვეიცარია 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 4 | 3 | 1 | 0 | 9-5 | 10 |
| თურქეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-5 | 7 |
| შვეცია | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 6 |
| უნგრეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-6 | 2 |
| ისლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 0-7 | 0 |

### IV ჯგუფი

ლიტვა — ხორვატია 0:0
სლოვენია — ესტონეთი 3:0
უკრაინა — იტალია 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 5 | 4 | 1 | 0 | 10-1 | 13 |
| იტალია | 5 | 3 | 1 | 1 | 10-4 | 10 |
| ლიტვა | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| სლოვენია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-3 | 5 |
| უკრაინა | 5 | 1 | 1 | 3 | 3-8 | 4 |
| ესტონეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 1-13 | 0 |

### V ჯგუფი

ლუქსემბურგი — ნორვეგია 0:2
პოლანდია — მალტა 4:0
ჩეხეთი — ბელარუსი 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 5 | 4 | 1 | 0 | 9-1 | 13 |
| პოლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 14-1 | 11 |
| ჩეხეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 10-3 | 8 |
| ბელარუსი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-9 | 3 |
| ლუქსემბურგი | 5 | 1 | 0 | 4 | 1-13 | 3 |
| მალტა | 5 | 0 | 1 | 4 | 1-12 | 1 |

### VI ჯგუფი

ირლანდია — ჩრ. ირლანდია 1:1
ავსტრია — ლატვია 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 4 | 4 | 0 | 0 | 14-2 | 12 |
| ირლანდია | 4 | 3 | 1 | 0 | 12-1 | 10 |
| ჩრ. ირლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 8-9 | 7 |
| ავსტრია | 4 | 2 | 0 | 2 | 10-3 | 6 |
| ლატვია | 4 | 1 | 0 | 3 | 2-11 | 3 |
| ლიპტენშტაინი | 5 | 0 | 0 | 5 | 1-21 | 0 |

### VII ჯგუფი

საქართველო — გერმანია 0:2
ბულგარეთი — უელსი 3:1
ალბანეთი — მოლდოვა 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 12-2 | 12 |
| გერმანია | 4 | 4 | 0 | 0 | 9-2 | 12 |
| საქართველო | 5 | 2 | 0 | 3 | 6-5 | 6 |
| მოლდოვა | 5 | 2 | 0 | 3 | 5-12 | 6 |
| ალბანეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-7 | 3 |
| უელსი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-14 | 3 |

### VIII ჯგუფი

რუსეთი — შოტლანდია 0:0
სან-მარინო— ფინეთი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 12-1 | 12 |
| ფინეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 11-7 | 9 |
| შოტლანდია | 5 | 2 | 2 | 1 | 8-3 | 8 |
| რუსეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-1 | 5 |
| სან-მარინო | 4 | 0 | 0 | 4 | 1-12 | 0 |
| ფარერ. კუნძ. | 3 | 0 | 0 | 3 | 2-15 | 0 |

## 26 აპრილის შეხვედრების კალენდარი

I ჯგუფი. საფრანგეთი — სლოვაკეთი, პოლონეთი — ისრაელი, აზერბაიჯანი — რუმინეთი.

II ჯგუფი. ბელგია — კვიპროსი, დანია — მაკედონია, სომხეთი — ესპანეთი.

III ჯგუფი. უნგრეთი — შვეცია, შვეიცარია — თურქეთი.

IV ჯგუფი. ხორვატია — სლოვენია, ესტონეთი — უკრაინა, ლიტვა — იტალია.

V ჯგუფი. ნორვეგია — ლუქსემბურგი, ბელარუსი — მალტა, ჩეხეთი — ჰოლანდია.

VI ჯგუფი. ავსტრია — ლიხტენშტაინი, ირლანდია — პორტუგალია, ლატვია — ჩრ. ირლანდია.

VII ჯგუფი. გერმანია — უელსი, საქართველო— ალბანეთი, მოლდოვა — ბულგარეთი.

VIII ჯგუფი. საბერძნეთი — რუსეთი, სან-მარინო — შოტლანდია, ფარერის კუნძულები — ფინეთი.

დასახელებული ქვეყნების ახალგაზრდული (ოლიმპიური) გუნდები თავიანთი გათამაშების მატჩებს გამართავენ ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრების წინა დღეს.

# „სად არის რომარიო?“

ასეთი შეკითხვით მოგვმართა რედაქციაში რუსთაველმა ე. სამყურაშვილმა, რომელსაც აინტერესებს ამჟამად სად იმყოფება პლანეტის 1994 წლის საუკეთესო ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონი, ბრაზილიელი ფორვარდი რომარიო, ურომლისოდაც ესპანეთის „ბარსელონას“ მაჩვენებლები ბოლო ხანებში მკვეთრად დაქვეითდა.

მართლაც, სად არის რომარიო?

სპორტულ გაზეთებში, მათ შორის „ლელოშიც“, ამას წინათ, დაიბეჭდა ცნობა რომარიოს შესახებ. ბრაზილიელი თავდამსხმელის შეძენის თაობაზე კარგა ხანს მიმდინარეობდა მოლაპარაკება ბრაზილიის „ფლამენგოსა“ და ესპანეთის „ბარსელონას“ შორის. რეიტერის სააგენტოს ცნობით მხარეები ასე გარიგდნენ: 4,5 მილიონი დოლარი მიიღო „ბარსელონამ“, 3 მილიონი — თვით რომარიომ და ამის შემდეგ იგი დაუბრუნდა ბრაზილიას. ამ დიდი ტრანსფერის ფინანსური გარანტიები იკისრეს მსხვილმა ბრაზილიურმა ბანკებმა და სავაჭრო კომპანიებმა, გარიგების მოთავე გახლდათ „ფლამენგოს“ ახალი პრეზიდენტი კ. ლეიტე. იუწყებიან, რომ რომარიომ ერთ-ერთ ადგილობრივ ეკლესიაში განწმენდის 40-წუთიანი სეანსი მიიღო. ეკლესიის წინამძღვრის თქმით „ბიოენერგეტიკული მაგნეტიზმის წყალობით მოწესრიგდა მისი ფიზიკური, ინტელექტუალური და სულიერი საწყისი“. ასეა თუ ისე, ამ პროცედურის შემდეგ რომარიომ უკეთ დაიწყო თამაში — რაც მთავარია, გააქვს გოლები.

ეს, რაც შეეხება რომარიოს. ახლა კი კ. ლეიტეს განზრახული აქვს შეიძინოს კიდევ ორი მსოფლიო ჩემპიონი — ნახევარმცველი დუნგა გერმანიის „შტუტგარტიდან“ და მცველი ბრანკო სან-პაულუს „კორინტიანსიდან“. მისი აზრით, ყოველივე ამის შემდეგ „ფლამენგო“ კვლავ ჩადგება ბრაზილიის მოწინავე კლუბების რიგებში.

# კრიმინალური ქრონიკა

ლონდონის სამხრეთ რაიონის სასამართლომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოთამაშე, ფრანგი ერიკ კანტონა დამნაშავედ ცნო მაყურებლის — მეტიუ სიმონსის გალახვაში. ეს ხულიგნური აქტი მოხდა 25 იანვარს „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „კრისტალ პალასის“ შეხვედრის დროს. კანტონას მიესაჯა ორკვირიანი პატიმრობა. ფეხბურთელის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ. ინციდენტის პროვოცირებისათვის სასჯელს მიიღებს სიმონსიც.

მზადდება კიდევ ერთი სკანდალი. გაზეთ „სანდი ექსპრესის“ ცნობით ინგლისის საფეხბურთო კლუბი „ნოტინგემ ფორესტი“ 80-იან წლებში ხშირად არღვევდა ფინანსურ დისციპლინას. დიდძალი ფულია მითვისებული (ასობით ათასი გირვანქა სტერლინგი) ჯონი მეტგოდთან, ჰანს ვან ბრეკელენთან და ფრანც ტეისენთან (სამივე — ჰოლანდია), აგრეთვე, ისლანდიელ ტორვალდურ ორლიგსონთან კონტრაქტების გაფორმების დროს. მთავარ დამნაშავედ გაზეთს გუნდის მაშინდელი მწვრთნელი ბრაიან კლაფი მიაჩნია.

ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ამომავალი ვარსკვლავი პოლ ინსი გამოყვანილია ქვეყნის მთავარი გუნდის შემადგენლობიდან. ეს მოხდა მწვრთნელების — ტერი ვენეიბლსისა (ნაკრები) და ალექს ფერგიუსონის („მანჩესტერ იუნაიტედი“) ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ინსმა ჯერ უნდა მისცეს ჩვენება სასამართლოს „მაჩესტერ იუნაიტედისა“ და „ქუინზ პარკის“ გარშემო ატეხილი სკანდალის გამო.

● „მანჩესტერ იუნაიტედის“ (ინგლისი) ხელმძღვანელობამ უარით გაისტუმრა მილანის „ინტერის“ ემისარი, რომელსაც მოლაპარაკება ჰქონდა დასჭილი ერიკ კანტონას ყიდვის თაობაზე. ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ამით ინგლისურმა კლუბმა, ფაქტობრივად, უარი თქვა 5,5 მილიონ გირვანქა სტერლინგზე.

● უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი მოხულიგნო გულშემატკივრებისთვის სპეციალური საპასპორტო რეჟიმის შემოღებას მოითხოვს. პრეზიდენტის გულისწყრომას, პირველ ყოვლისა ინგლისელ ფანატთა საქციელი იწვევს. თავის მხრივ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ შეიმუშავა დებულება, რომლის თანახმადაც ეროვნული ნაკრები უცხოეთში სათამაშოდ გაემგზავრება მხოლოდ ერთი პირობით — გულშემატკივრებს უსათუოდ უნდა გაჰყვნენ სკოტლანდ-იარდის თანამშრომლები.

● საქართველოში გამგზავრების წინ გერმანიის ნაკრებისა და „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ფორვარდს იურგენ კლინსმანს მიუნხენის „ბაიერნმა“ სამშობლოში დაბრუნების წინადადება მისცა. კლინსმანმა განაცხადა: „უარი არ მითქვამს, მაგრამ ახლა ამ თემაზე საუბარი ადრეა. ამჟამად დაკავებული ვარ ინგლისის ჩემპიონატსა და თასზე თამაშით“.

● რამდენიმე კვირაში ჩადგება მწყობრში ინგლისის ნაკრებისა და „ლაციოს“ (იტალია) ნახევარმცველი პოლ გასკოინი. ასეთი განცხადება გააკეთა ფეხბურთელის მკურნალმა ექიმმა მაურიციო მანცინიმ. 27 წლის ფეხბურთელს ერთი სული აქვს დაიწყოს თამაში, არადა, ავადმყოფობის პერიოდში 15 კილოგრამი დაიკლო.

● სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მზადაა უმასპინძლოს აფრიკის თასის ფინალს. ფიფას ინსპექტორების განცხადებით ბლუმფონტეინის, დურბანის, იოჰანესბურგისა და პორტ-ელიზაბეტის სტადიონები არაფრით ჩამოუვარდება საფრანგეთის სტადიონებს, სადაც გაიმართება მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატის მატჩები.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

## რა ხდება ქვეყანაში

● ბელარუსის დედაქალაქ მინსკში გამართულ ალექსანდრე მედვედის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: ვიქტორ ეფტემმა (უკრაინა), ნამიკ აბდულაევმა (აზერბაიჯანი), ველიხან ვერდიევმა (რუსეთი), სერგეი სმალმა (ბელარუსი), რომან მოტროვიჩმა (რუსეთი), ალექსანდრ ლაიპოლდმა (გერმანია), ელდარ ასანოვმა (უკრაინა), იგორ სამუშონოკმა (ლატვია), არვი ლავიკმა (ესტონეთი) და მერაბ ვალიევმა (უკრაინა).

ქართველი ფალავნები ამ ტურნირში არ მონაწილეობდნენ. ფედერაციის პრეზიდენტმა დ. გობეჯიშვილმა გვითხრა, რომ მინსკში გამოსვლა არ იყო აუცილებელი, რადგან ამ ციკლში საკმაო შეჯიბრებებში იასპარეზეს ჩვენმა მოჭიდავეებმა.

● თებერვალში ერფურტში (გერმანია) გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე ლიუბოვ კრემლიოვამ (რუსეთი) ახალი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა 1000 მეტრზე რბენაში. მაგრამ სამედიცინო შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ სპორტსმენს მიღებული ჰქონია აკრძალული პრეპარატი — სტანაზოლოლი. ახლა მას, როგორც ჩანს, ჩამოართმევენ რეკორდსაც და 4-წლიან დისკვალიფიკაციასც მიუსჯიან. კრემლიოვა დაკარგავს ბარსელონაში მსოფლიოს ჩემპიონატზე (დარბაზებში) მიღებულ ბრინჯაოს მედალსაც.

● 22 წლის სუნ ცაიუნმა ჩინეთის ქალაქ გუან ჩჟოუში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ჭოკით ხტომაში — 406 სმ. ეს 5 სანტიმეტრით უკეთესია მისსავე სარეკორდო შედეგზე, რომელიც 3 წლის წინ აჩვენა. საინტერესოა, რომ მან წლეულს მსოფლიოს რეკორდი ხუთჯერ გააუმჯობესა.

● როგორც უცხოეთის სააგენტოები იუწყებიან, სულ მალე შეიძლება გაკოტრდეს 31 წლის მსოფლიოს ექსრეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში, შვედი პატრიკ შიობერგი. იმის გამო, რომ კარგა ხანს გაურბოდა ყოველგვარ კონტაქტს საგადასახადო ინსპექციასთან, საკმაოდ დიდი ვალი დაედო—1,8 მილიონი შვედური კრონი. ამბობენ მას დიდი სახსრები აქვს ჩადებული უძრავ ქონებაში, მაგრამ ინსპექციისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თავის წილს ეს ორგანიზაცია უსათუოდ მიიღებს.

● მას შემდეგ, რაც „ჩიკაგო ბულზის“ ლიდერი და ნბა-ს სუპერვარსკვლავი მაიკლ ჯორდანი ორწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა კალათბურთს, ყოველ ახალ მატჩში აუმჯობესებს შედეგებს და ანცვიფრებს გულშემატკივრებს. აი, როგორი მაჩვენებლები ჰქონდა ხუთ პირველ შეხვედრაში: „ინდიანასთან“ (სტუმრად) — 19 ქულა, „ბოსტონთან“ (სტუმრად) — 27, „ორლანდოსთან“ (შინ) — 21, „ატლანტასთან“ (სტუმრად) — 32, „ნიუ-იორკთან“ (სტუმრად) — 55.

● არ წყდება ჭორები ახლახან ციხიდან განთავისუფლებული მაიკ ტაისონის ირგვლივ. როგორც გაზეთები იუწყებიან მსოფლიოს ექსჩემპიონს ახალი „გიორლ ფრენდი“ (მეომარი ქალი) ჰყავს — მონიკა ტერნერი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავის ყოფილ მეუღლეს, რომელიც ცნობილი იყო სიხარბითა და გაუმაძღრობით, აღარ შეურიგდება. მარჩიელობენ იმაზეც თუ მუსულმანობის მიღების შემდეგ რომელ გვარს აირჩევს ტაისონი. ყველაზე სავარაუდო ვარიანტია მალიკ აბდულ აზიზის გვარი. ადრე ტაისონი თურმე ბაპტისტი ყოფილა.

● გერმანული ჟურნალის „ბილდის“ კორესპონდენტის ცნობით, 26 მარტს „ფორმულა— 1“-ის პირველ ეტაპზე („ბრაზილიის გრან-პრი“) გამარჯვებული და მერე დისკვალიფიცირებული მიჰაელ შუმახერი მიიღებს რეაბილიტაციას უსათუოდ, ვინაიდან ხელახალმა ექსპერტიზამ (საფრანგეთში) არ დაადასტურა ვერსია არასტანდარტული საწვავის ხმარების თაობაზე. ჟურნალისტის აზრით, ნაჩქარევი იყო შუმახერის მიმართ გამოყენებული სანქცია.

რა ხდება ქვეყანაში

ბიბლიოთეკა

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

გრძელდება გათამაშება მეორე ჯგუფშიც. აღმოსავლეთ ზონაში გაიმართა მე-18 ტურის შეხვედრები, ლიდერობენ ახალციხის „მესხეთი“ და ბოლნისის „სიონი“. დასავლეთ ზონაში 12 ტურის შემდეგ 31-31 ქულა მოაგროვეს ტყიბულის „მეშახტემ“ და სენაკის „ეგრისმა“. 27 ქულა აქვს ოზურგეთის „მერცხალს“.

* * *

საქართველოს მსაჯთა ბრიგადა პირველად მოემსახურება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს რუსეთისა და ფარერის კუნძულების ეროვნულ ნაკრებებს შორის. იგი მოსკოვში გაიმართება 6 მაისს. მთავარი მსაჯია ზუგდიდელი სერგო კვარაცხელია, მას მოეხმარებიან თბილისელი ლევან მგელაძე და სამტრედიელი მურად ჯულაყიძე. სარეზერვო მსაჯია მერაბ მალაღურაძე (თბილისი).

* * *

როგორც იცით, გუნდების გაძლიერების მიზნით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გამონაკლისის სახით ნება დართო პირველი ჯგუფის კლუბებს შუა სეზონში აიყვანონ რამდენიმე მოთამაშე. გთავაზობთ გაზაფხულის ტრანსფერს:

**თბილისის „დინამო“:** მ.მაჭავარიანი („კოლხეთი-1913“), დ.გვარამაძე („კახეთი“), დ.მუჯირი.

**ბათუმის „დინამო“:** ა.კანტიძე და გ.ყულეჯიშვილი („გურია“), კ.ჩხაიძე.

**რუსთავის „მეტალურგი“:** გ.ქველაძე („დინამო“, თბ.), ლ.ქებაძე („ჭაბუკიანი“), გ.დოლიძე („აზოტი“).

**თბილისი „შევარდენი-1906“.** კ. გოგოლაძე („გურია“), ლ.თოლორდავა („ლუჩუკი“), მ.კალმახელიძე („გვარდია“), ა.გოგიბერიშვილი (35-ე სპორტსკოლა), მ.აბუსერიძე.

**ზესტაფონის „მარგვეთი“:** ნ.კიკნაძე („კრწანისი“).

**ხაშურის „ივერია“:** დ.იობაშვილი და გ.ჩიბაშვილი („ალაზანი“), ს.მალანია.

**ზუგდიდის „დინამო“:** ზ.აფაქიძე, ზ.ქაძანაია, ზ.გვიჩია.

**თელავის „კახეთი“:** გ.ჩიქვინიძე („არაგვი“), ა.ხორხელი, თ.ჩლაიძე.

**თერჯოლის „საპოვნელა“:** რ.გურაბანიძე, ტ.ლილუაშვილი.

**წყალტუბოს „სამგურალი“:** კ.ჩხეტიანი, გ.თევზაძე, კ.ჯანაშია, მ.აშვეთია („რწმენა“).

# ლუგანისი — ჰომოსექსუალისტთა ლიდერი

სენსაციური ცნობა გაავრცელეს უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა. ოლიმპიური თამაშების ოთხგზის ჩემპიონი წყალში ხტომაში, ამერიკელი გრეგ ლუგანისი ჰომოსექსუალიზმის დარგში დიდი დამსახურებისათვის დაჯილდოებულია საპატიო სიგელით.

მას შემდეგ, რაც ბერლინის საცურაო კომპლექსის მეპატრონემ პერ ტიხიმ XIX საუკუნის მეორე ნახევარში წყალში ხტომის რამდენიმე ერთმანეთისგან განსხვავებული სტილი გამოიგონა, სპორტის ამ სახეობაში დიდხანს გერმანიისა და შვეციის წარმომადგენლები კარნახობდნენ მოდას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ 1904 წლიდან მოყოლებული (ამ წელს შეიტანეს პირველად წყალში ხტომა ოლიმპიურ თამაშებში) ჩემპიონის ოქროს მედლები, უმთავრესად, ამერიკელ მხტომელებს აქვთ მოპოვებული.

სხვათა შორის, წყალში ხტომა სპორტის ისეთი სახეობაა, სადაც ერთი სპორტსმენი იშვიათად აღწევს წარმატებას ზედიზედ რამდენიმე ოლიმპიადაში. ტრამპლინიდან ხტომაში ასეთი გამონაკლისი საერთოდ არ არსებობს, კოშკიდან ხტომაში კი მხოლოდ რამდენიმე გვარის დასახელება შეიძლება, მათ შორის, ამერიკელების, სემუელ ლისა (ჩემპიონი იყო 1948 და 52 წლების ოლიმპიადებზე) და რობერტ უებსტერისა (1960 და 64), აგრეთვე ლეგენდარული იტალიელის კლაუს დიბიასისა, რომელიც სამჯერ ფლობდა (1968, 72, 76) ოლიმპიურ ოქროს მედალს კოშკიდან ხტომაში.

მაგრამ მათ შორისაც არის ერთი გამორჩეული ოლიმპიური ჩემპიონი, ბერძნული წარმოშობის ამერიკელი გრეგ ლუგანისი. მან 1984 და 1988 წლების თამაშებში (ლოს-ანჯელესი, სეული) ორ-ორი ოქროს მედალი მოიპოვა ცალკე ტრამპლინიდან და ცალკე კოშკიდან ხტომაში გამარჯვებისთვის. თანაც ერთი, არც თუ უმნიშვნელო დეტალი: ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე ლუგანისმა ტრამპლინიდან მხტომელთა ტურნირში მეორე ადგილის მფლობელ ჩინელ ტან ლიანდეს 92 ქულით აჯობა, კოშკიდან ხტომაში მეორე პრიზიორს, ამერიკელ ბ. კემპბელს კი 67 ქულით. ერთი სიტყვით, სანამ ლუგანისი გამოდიოდა, სპორტში მისი მძლეველი არ ჩანდა. არადა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ოლიმპიური ჩემპიონი სპორტიდან იძულებით წასულა. თუმცა ამის შესახებ, უფრო დაწვრილებით ქვემოთ. ახლა კი დეტალურად გავშიფროთ ზემომოყვანილი სენსაციური ინფორმაციის შინაარსი.

ამას წინათ ბოსტონში, აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა ჰერი სტუდსმა გრეგ ლუგანისს, როგორც აშშ-ს ჰომოსექსუალისტთა ერთ-ერთ ლიდერს, განსაკუთრებული დამსახურებისათვის, საპატიო ჯილდო გადასცა. ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ვახშამს ქალაქის ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში ექვსასზე მეტი სტუმარი დაესწრო, რომელთაგან თითოეულმა საკმაოდ სოლიდური თანხა შესწირა ბოსტონის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალურ ფონდს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ინსტიტუტის პროფილი გახლავთ ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა ჰომოსექსუალისტებსა (არაბუნებრივი სექსუალური ლტოლვა ერთნაირი სქესის წარმომადგენლებისა) და ლესბოსელებს (ქალის არაბუნებრივი სექსუალური ლტოლვა ქალისადმი) შორის.



ლუგანისი

როგორც გაირკვა, ლუგანისი დიდხანს მალავდა თავის სექსუალურ მისწრაფებებს ისევე, როგორც იმას, რომ ჯერ კიდევ 1988 წელს სეულის ოლიმპიადაზე შიდსის ვირუსის მატარებელი იყო. მომდევნო წლის თებერვალს შიდსით საბოლოოდ დაავადებულმა, სპეციალური პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც საზოგადოებრიობას ამცნო ყველაფერი. ფორმალურად ეს შეხვედრა მისი გახმაურებული წიგნის — „გახლეჩილი ზედაპირის“ ხელახალ გამოცემას ეძღვნებოდა, სინამდვილეში კი ლუგანისს სურდა გაემხილა საიდუმლო პრესისთვის. თავისი გამოსვლა პრესკონფერენციაზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ასეთი სიტყვებით დაამთავრა: „საიდუმლოება ადამიანს დიდი ხნით აქცევს ტყვედ, მაგრამ მე ახლა, ამ აღსარების შემდეგ, თავისუფალი კაცი ვარ“.

თავისუფალი კია, მაგრამ როგორ უნდა დააღწიოს თავი XX საუკუნის ჯერჯერობით უკურნებელ სენს?...

## პროფესიული კრივის სამყაროში

### ტაისონი თავისუფალია

25 მარტს დილის 5 საათზე ინდიანაპოლისის ფედერალური ციხიდან ვადამდე გაანთავისუფლეს მსოფლიოს ექსჩემპიონი მძიმე წონაში მაიკ ტაისონი, რომელმაც კეთილსინდისიერად მოიხადა სამწლიანი სასჯელი (1992 წლის 26 მარტიდან — 1995 წლის 25 მარტამდე). მას ციხის კართან დახვდა რამდენიმე მეგობარი და პირადი მცველი. ბედნიერი მოკრივე ჩასვეს შავ ლიმუზინში და აეროპორტისკენ გააქანეს. ერთ საათში კი კომფორტაბელურმა კერძო თვითმფრინავმა ტაისონი იანგსტაუნში (ოჰაიოს შტატი) ჩაიყვანა. აქედან იგი კორტეჟით მშობლიური სახლისკენ გაემართა. გზად ტაისონმა ადგილობრივ მიზგითში შეიარა, სადაც უკვე ელოდებოდნენ მოჰამედ ალი და ცნობილი როკ-მომღერალი ემსი ჰამერი. ამ სამეულმა მუსულმანთა წმინდა სამლოცველოში ერთი საათი დაჰ-ყო. ციხიდან განთავისუფლებულს ვერც ერთი ჟურნალისტი ვერ გამოელაპარაკა. ამჟამად ტაისონი ისვენებს ახლობლებისა და ნათესავების გარემოცვაში (შეგახსენებთ, რომ იგი მსოფლიოს ექსჩემპიონი 1990 წლის 11 თებერვალს გახდა ჯეიმს („ბასტერ“) დაგლასთან მარცხის შემდეგ).

### დაიბრუნებს ქამარს?

დაზუსტდა, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონი მძიმე წონაში, 45 წლის ლერი ჰოლმსი მოკრივეთა მსოფლიო საბჭოს ვერსიით ჩემპიონის ტიტულს შეეცილება ოლივერ მაკოლის. ეს მოხდება ამა წლის 8 აპრილს, კესტონში, როგორც ჩანს, ფორმენის მაგალითი გადამდებია. ყოველ შემთხვევაში ჰოლმსი დარწმუნებულია, რომ ოქროს ქამარს უსათუოდ დაიბრუნებს.

# ანანდი — ერთადერთი პრეტენდენტი

**როგორც იცით, გამოვლინდა ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონ ანატოლი კარპოვის (ფიდეს ვერსიით) მეტოქე მომავალ მატჩში — 20 წლის დიდოსტატი გატა კამსკი. მერე იმავე გ. კამსკისა და ვიშვანათან ანანდის ორთაბრძოლას უნდა გადაეწყვიტა, თუ ვინ შეხვდებოდა მსოფლიო ჩემპიონს გარი კასპაროვს (პროფესიული საჭადრაკო ასოციაციის ვერსიით).**

ამ შეხვედრისადმი ინტერესს ბევრი გარემოება აღვივებდა. თქმა არ უნდა, კამსკიმ და ანანდმა სრულიად დამაჯერებლად დაამტკიცეს, რომ ამჟამად სწორედ ისინი არიან მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეები კასპაროვისა და კარპოვის შემდეგ, ამასთან, თუ ინდოელს აქამდეც ჰქონდა დიდი მიღწევები, ერთი მსოფლიო ჩემპიონიც დაუმარცხებია და მეორეც, კამსკის შარშანდელმა წარმატებებმა მთელი წლის მანძილზე, მართლაც, ყველა გააოცა. ორივე საპრეტენდენტო ციკლს თუ გავითვალისწინებთ, რომლებიც მონაცვლეობით მიმდინარეობდა, კამსკიმ მოიგო ხუთი უმნიშვნელოვანესი მატჩი (მათ შორის, ერთი — ანანდთან) და მიიღო კარპოვთან მსოფლიო პირველობაზე შეხვედრის უფლება. ახლა მას შეეძლო ინდოელთან განმეორებითი მატჩის მოგების შემთხვევაში ასეთივე ორთაბრძოლა მეორე მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვთანაც გაემართა. საჭადრაკო სამყაროში ჭეშმარიტად უნიკალური სიტუაცია შეიქმნა.

აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ აღრინდელი ზაფხულის მატჩში ანანდთან, კამსკი თითქმის უიმედოდ გამოიყურებოდა. თვით განსაჯეთ — შეხვედრაში, რომელიც სულ 8 პარტიისგან შედგებოდა, კამსკი აგებდა (1,5:3,5), მაგრამ საბოლოოდ მაინც გაათანაბრა ანგარიში — 4:4. დაინიშნა ორი დამატებითი პარტია სწრაფ ჭადრაკში, რომლის უდიდეს სპეციალისტად ანანდი ითვლება, მაგრამ ორივე შეხვედრაში გაიმარჯვა... კამსკიმ!

და აი,. ახლა, უკვე 12 პარტია ახალ მატჩში, რომელიც ლას-პალმასში (ესპანეთი, კანარის კუნძულები) გაიმრთა. ანანდს ეხმარებოდნენ დიდოსტატები არტურ იუსუპოვი (გერმანია) და ელიზბარ უბილავა (საქართველო), რუსტემ კამსკიმ კი, რომელსაც არც ისე დიდი ხნის წინათ მწვრთნელ ალექსანდრე შაბალოვთან (აშშ) დიდი სკანდალი მოუვიდა, რომან ჯინჯიხაშვილთან (აშშ) ერთად მიიწვია ახალი თანაშემწე, ამ რამდენიმე წლის წინ აშშ-ში გადასახლებული ახალგაზრდა დიდოსტატი ალექსანდრე ივანოვი.

მატჩის დაწყებამდე მეტოქეებს დაახლოებით თანაბარ შესაძლებლობებს უქადდნენ. ზოგი მიიჩნევდა, რომ კამსკისთვის ფავორიტის როლის მინიჭება მას ცუდ სამსახურს გაუწევდა, რუსტემ კამსკიმ განაცხადა, რომ მის შვილს ამჯერად ძალიან გაუჭირდებოდა, რადგან ერთწლიან გაუთავებელ ბრძოლაში მან სადებიუტო მარაგი თითქმის მთლიანად ამოწურა (ამ მხრივ ანანდი უკეთეს პირობებში იყო, მას ამ მატჩისთვის მოსამზადებლად რამდენიმე თვე ჰქონდა). ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ანანდს ამ ციკლში თავის გამოჩენის ერთადერთი საშუალებალა დარჩა, მაშინ, როცა კამსკის უკვე ჰქონდა ერთი გარანტირებული მატჩის უფლება მსოფლიო ჩემპიონთან და ახლა „მეორე კურდღლის“ მდევრის როლში გამოდიოდა.



ვიშვანათან ანანდი

რა გვიჩვენა მატჩმა ლას-პალმასში? უპირველეს ყოვლისა ის, რომ მეტოქ ეები დღეისათვის მართლაც დაახლოებით თანაბარი ძალისანი არიან. კამსკიმ შავებით მოიგო პირველი შეხვედრა, მაგრამ მესამეში ანანდმა გაათანაბრა ანგარიში — 1,5:1,5 და აქედან მოყოლებული ძალზე ძნელი იყო ვინმესთვის უპირატესობის. მინიჭება. ჩვეულებრივ „რეაქტიული“ ანანდი ზოგჯერ ძლიერ ცაიტნოტშიც კი მოხვედრილა. კამსკი, როგორც ყოველთვის, უკიდურესი შეუპოვრობით იბრძოდა, 8 პარტიის შემდეგ ანგარიში იყო 4:4, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მატჩს მოიგებდა ის, ვინც პირველივე მომდევნო პარტიაში გაიმარჯვებდა.

მეცხრე პარტია ანანდმა მოიგო! ეს დასასრულის დასაწყისი გახლდათ. მეათე პარტია ყაიმით დამთავრდა, მეთერთმეტე კვლავ ინდოელის წარმატებით აღინიშნა და მეთორმეტის გამართვა არ დასჭირებიათ: 6,5:4,5. ვიშვანათან ანანდმა დამსახურებულად მოიგო ეს უმძიმესი შეხვედრა და თავის პრაქტიკაში პირველად დიდ მატჩში მსოფლიო პირველობაზე შეხვდება გარი კასპაროვს.

ანანდი, რომელსაც მოჭადრაკეები „ვიშის“ ეძახიან, მსოფლიო ჩემპიონ კასპაროვზე ახალგაზრდაა: კასპაროვს 13 აპრილს 32 წელი უსრულდება, ინდოელი კი 1969 წლის 11 დეკემბერს დაიბადა. თუ კასპაროვი სადღეისოდ სათავეში უდგას მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა „რეიტინგ-ლისტს“ (2805), ანანდი ამ სიაში ვალერი სალოვსა და ვლადიმერ კრამნიკთან ერთად მესამე-მეხუთე ადგილებს (2715) იყოფს. კოეფიციენტებს, რა თქმა უნდა, აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ჭადრაკში, როგორც მოგეხსენებათ, ეს ყველაფერს როდი წყვეტს.

ორივე დიდოსტატი აგრესიული, შემმართებელი სტილის მოჭადრაკეა, ამიტომაც ამ ორთაბრძოლამ ჭადრაკის ისტორიაში ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს. წინასწარი ანგარიში გ. კასპაროვის სასარგებლოდაა, მას, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია, მსოფლიო პირველობაზე ბრძოლის ათწლიანი გამოცდილება აქვს.

**ბივი ბამრეკელი**
ოსტატი.

## ჩოგბურთელები ხუმრობენ...

თუმცა ამას ხუმრობას პირდაპირი მნიშვნელობით ვერც უწოდებ. ანდრე აგასი ცხოვრებაში უაღრესად მხიარული კაცია, რომელმაც სიცილიც იცის, როცა ამას სიტუაცია კარნახობს და თავის დაჭერაც. ამბობენ, სწორედ ასეთი გაორებული ხასიათის წყალობით მიაღწია მან სახელსაც, დიდებასაც და, რაც არანაკლებად მნიშვნელოვანია — ქონებას.

ქონების შეგროვება კი დაიწყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლაზღანდარობით, მოიგებდა ერთ რომელიმე ტურნირს — იყიდდა მანქანას. რამდენიმე ხნის შემდეგ მან თანამედროვე მანქანების „ფარეხი“ გახსნა. მაგრამ ამ საქციელს რაღაც იურიდიული საფუძვლის მსგავსი „გამართლება“ სჭირდებოდა. და აგასიმაც გამოაცხადა, რომ არის თანამედროვე მანქანების კოლექციონერი.

სპეციალისტების აზრით, აშშ-ში მანქანების უკეთესი კოლექცია მხოლოდ ოფიციალურ ფირმებსა და კონცერნებს აქვთ. მაგრამ აგასი მათგან განსხვავებით აგროვებს მხოლოდ ძვირფას მანქანებს. აი სწორედ ამ „ახირებული ხუმრობის“ გამო იგი ცნობილი მილიონერი გახდა.

აგასისაგან განსხვავებით წარსულში მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ჯონ მაკინროუ მოედანზეც სერიოზული იყო და ცხოვრებაშიც. უფრო სწორად, თავისი მიზანმიმართული



ანდრე აგასი

ხასიათის წყალობით მან ჭირვეული, მაგრამ თავისებურად სამართლიანი მოთამაშის სახელი დაიმკვიდრა.

მაკინროუს დრო გავიდა, ახლა, ჩოგბურთში კანონებს, სხვა სტილის სპორტსმენები ადგენენ, მაკინროუ კი...

ამჟამად ცნობილი მუსიკოსია (გიტარისტი), კინოპროდიუსერი. ჩოგბურთს რომ თავი დაანება, ერთხანს საუკეთესო ტელეკომენტატორი იყო. მერე ნიუ-იორკის სოხოში (რაიონი, სადაც მხატვრები ცხოვრობენ და სადაც პოპულარული გამოფენები იმართება) შეიძინა საგამოფენო დარბაზი და სერიოზულ არტბიზნესს (სურათების ყიდვა-გაყიდვას) მიჰყო ხელი. პარალელურად ჰყავს პოპულარული როკ-ჯგუფი და მართავს კონცერტებს, ერთი სიტყვით, მაკინროუს ხუმრობისთვის დრო აღარ რჩება...

## ახალი „პოლგარები“

ავსტრალიის საჭადრაკო ფედერაციის ბიულეტენში გამოქვეყნებულია ამ ქვეყნის ქალთა ნაკრების წევრთა სია. აქ ყურადღებას იპყრობს სამი დის, ადელაიდაში მცხოვრები ლაუერ-სმითების გვარები. უფროსი, 13 წლის ჟასმინა ლაუერ-სმითი ქვეყნის ჩემპიონია 14 წლამდე გოგონებს შორის, შუათანა, 8 წლის ჟუანიტა ჩემპიონი იყო 9 წლის ასაკამდე გოგონებს შორის, ახლა კი ამ წოდებას 6 წლის ჯეიდი დაეუფლა.

საინტერესოა „ავსტრალიელი პოლგარების“ შემდგომი გზა.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ თბილისის გნათლების სამმართველოს ველოსიპედისტთა სპორტსკოლის დირექტორს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელსა და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს იოსებ გოცირიძეს მამის გარდაცვალების გამო.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი
შემსრულებლები: ქ. შოშიტაშვილი, ნ. რამიშვილი, მ. ჯილაური, მ. ნონორია.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX.